„ჩინგუტი საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველაო“

ყორხელი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2022 წელი • №11-12 (9529-9530) • 1-30 ივნისი • ფასი 1 ლარი

სტიქია სენაკში

სამუშაო შეხვედრა სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის ფარგლებში

მუნიციპალიტეტის მერიაში

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი გუგუჩია, მოადგილეებთან და სენაკის მუნიციპალიტეტის მერთან, ვახტანგ გადელიასთან ერთად, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებს შეხვდა და მათგან მოისმინა დეტალური ინფორმაცია სენაკის სოფლებში სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის შესახებ.

სახელმწიფო რწმუნებული სტიქიის შედეგად დაზიანებულ ლოკაციებზე არსებულ ვითარებას სენაკის მუნიციპალიტეტის მერთან, ვახტანგ გადელიასთან ერთად, ეცნობა.

სენაკის სოფლებსა და ქალაქში მიყენებულ ზარალს დილიდან ითვლის სტიქიით მიყენეული ზარალის დამთვლელი კომისია.

სახელმწიფო რწმუნებულის განცხადებით, დეტალურად უნდა მოხდეს ყველა არსებული ზარალის აღწერა, პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს გაწმენდითი და სალიკვიდაციო სამუშაოები. 24 საათიან რეჟიმში მუშაობენ მუნიციპალური და სამაშველო სამსახურები. ასევე შექმნილია მოხალისეობრივი ჯგუფები, რომლებიც დატბორილ კერძო სახლებსა და ეზოებს შლამისა და ინერტული მასალისგან გაასუფთავებენ. დილიდან მოხალისეობრივი ჯგუფების ოდენობა იზრდება და სხვადასხვა ქუჩებზე გადანაწილდება.

სენაკში მუნიციპალიტეტის სამსახურები გადაყვანილია საგანგებო რეჟიმზე. ადგილზე მუშაობს მძიმე ტექნიკა.

22 ივნისს ინტენსიურმა ძლიერმა წვიმამ მწვავე პრობლემები შექმნა მუნიციპალიტეტის მასშტაბით. კოკისპირული წვიმის შედეგად დაიტბორა ქალაქის ქუჩები, საკარმიდამო ნაკვეთები და საცხოვრებელი სახლები.

ადიდებულმა ტეხურმა მწყობრიდან გამოიყვანა ლეძაძამე-კვაუთის შემაერთებელი ხიდი და საფეხმავლო ე.წ. ბეწვის ხიდი. ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულის ლეგაგუეს უბანში მდინარემ ასევე წაიღო ხიდი.

წვიმამ უშაფათის, ძველი სენაკის, თეკლათის, მენჯის, ჭალადიდის, ახალსოფლისა და ნოქალაქევის ადმინისტრაციული ერთეულებში ზიანი მიაყენა შიდა საავტომობილო გზებს, საკარმიდამო ნაკვეთებს, მოსავალს, საცხოვრებელ სახლებს. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებშიც.

სალოტბარო სკოლების ფესტივალი

სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, სალოტბარო სკოლების ფესტივალის ,,მომავლის ხმები" ფარგლებში, კონცერტი გაიმართა.

კონცერტში მონაწილეობა სენაკის, წალენჯიხის, საჩხერეს, მესტიის, ბორჯომის, ბათუმის, ამბროლაურის, ახალციხის, ფოთისა და ქობულეთის სალოტბარო სკოლების 150-მა მოსწავლემ მიიღო.

ფესტივალს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსთან, გივი მისაბიშვილთან და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორთან, გიორგი დონაძესთან ერთად დაესწრო.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერითა და ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით, სალოტბარო სკოლების ფესტივალი „მომავლის ხმები“ უკვე მესამედ იმართება.

ფესტივალი ორ ეტაპად ჩატარდება და მასში მონაწილეობას სენაკის, სამტრედიის, აბაშის, ხონის, ხარაგაულის, ონის, ბაღდათის, წალენჯიხის, საჩხერეს, მესტიის, ბორჯომის, ბათუმის, ამბროლაურისა და ახალციხის ფოლკლორის ცენტრის სალოტბარო სკოლების 250-ზე მეტი მოსწავლე მიიღებს.

სენაკის აკაკი ხორავას სახელობის ახლადრეაბილიტირებულ თეატრში დასკვნითი კონცერტი 24 ივნისს გაიმართა, რომელშიც სტუმრის სტატუსით მონაწილეობას ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ხალხური სიმღერის ანსამბლი „მართვე“ მიიღებს.

ფესტივალისთვის შემუშავდა სპეციალური პროგრამა და გადამზადდნენ მოხალისეები, რომლებიც ბავშვთა გუნდებს ლიდერობას უწევენ.

სალოტბარო სკოლების ფესტივალი „მომავლის ხმები“ 2019 წელს დაფუძნდა. მისი მიზანია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ბავშვების დაახლოება და სალოტბარო სკოლების განვითარების ხელშეწყობა.

ამჟამად, სალოტბარო სკოლები საქართველოს 30 მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს, მათ შორის, სენაკში, სადაც მსურველები ქართულ ტრადიციულ სიმღერასა და გალობას უსასყიდლოდ ეუფლებიან.

(გაგრძელება მე-2 გვ-ზე)

(გაგრძელება)

სამუშაო შეხვედრა დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში

მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, სოციალური მომსახურების სააგენტოს სამეგრელო ზემო-სვანეთის სოციალური მომსახურების ცენტრის სენაკის განყოფილებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, საგანმანათლებლო რესურსცენტრის, მუნიციპალური აიპების და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან, მორიგი სამუშაო შეხვედრა გამართა.

სხდომაზე, რომელიც, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით მიმდინარე დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა, განხილულ იქნა პროგრამის განხორციელების დეტალები. აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს ვაკანსიების მობილიზების პროცესი. სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, გრძელდება ვაკანსიების გამოცხადებისა და ბენეფიციართა დასაქმების შემდგომი ეტაპი. საზოგადოებრივი სამუშაო გულისხმობს ისეთ ვაკანტურ პოზიციაზე დასაქმებას, რომლის შესრულება ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია. სამუშაოს მომწოდებლები - სახელმწიფო უწყებები და ადგილობრივი თვითმმართველობები არიან.

პროგრამის ბენეფიციარები, 18 წლის და უფროსი ასაკის შრომისუნარიანი პირები არიან, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს და იღებენ მიზნობრივ სოციალურ დახმარებას.

დასაქმების პროგრამაში ჩართულ პირს, 4 წლის განმავლობაში, სოციალურად დაუცველის სტატუსი, მასთან მიბმული ფულადი და არაფულადი ბენეფიტები, გარანტირებულად შეუნარჩუნდება. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში არ მოხდება სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის გადამოწმება. საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართული ბენეფიციარები, სოციალურ დახმარებასთან ერთად, დამატებით ფინანსურ სარგებელსაც მიიღებენ.

საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულებისთვის გაცემული თანხა წარმოადგენს სოციალურ გასაცემელს, რომელიც არ იბეგრება.

დასაქმების პროგრამაში ჩასართავად, ბენეფიციარებს შეუძლიათ მიმართონ სოციალური მომსახურების ან დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვის ცენტრებს.

დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა სოციალურად დაუცველი მოქალაქეების სამუშაო ბაზარზე ინტეგრაციის, მათი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების ეფექტური შესაძლებლობაა.

საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები

სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ქალაქად და სოფლად, აქტიურად გრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. ამ ეტაპზე, ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში - ტეხურის ხიდთან არსებული და სოფელ კოტიანეთში - გზების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაო პროცესს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

პროექტების განხორციელების შედეგად, მოსახლეობას კომფორტული გადაადგილების შესაძლებლობა შეექმნება. პარალელურ რეჟიმში, მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით, საგზაო ინფრასტუქტურული სამუშაოების გარდა, ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს სტიქიის სალიკვიდაციო და კეთილმოწყობის სამუშაოები.

ქალაქური საღამო - მონატრებულ მსმენელთან

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში გაიმართა ქალაქური საღამო - მონატრებულ მსმენელთან. სენაკმა უმასპინძლა თავის ღირსეულ შვილს, ქართული თეატრალური საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელს, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატს, კოტე მახარაძის სახელობის ტიტულის მფლობელს, სენაკის საპატიო მოქალაქეს, მურმან ჯინორიას და ყველა თაობისთვის გამორჩეულად საყვარელ ხელოვანებს, ცნობილ ქართველ შემსრულებლებს - ლაშა ღლონტსა და დავით არჩვაძეს.

ლეძაძამესა და ნოქალაქევში მიმდინარე პროექტები

სენაკის მუნიციპალიტეტში, ამ ეტაპზე, სხვადასხვა სახის 16 ინფრასტრუქტურული პროექტი მიმდინარეობს. მათ შორისაა, ადმინისტრაციულ ერთეულებში ხიდ-ბოგირების მშენებლობის პროექტები.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, პირველ მოადგილესთან, გრიგოლ ბაღათურიასთან და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად, ლეძაძამესა და ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიმდინარე ხიდ-ბოგირების სამშენებლო სამუშაოებს გაეცნო და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

სოფელ ლეძაძამესა და ლეგაგუეს უბანში მიმდინარე პროექტებს შპს ,,აფო“ ახორციელებს.

სენაკის მუნიციპალიტეტში, მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით, ასევე ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს საგზაო-სარეაბილიტაციო, სტიქიის სალიკვიდაციო და კეთილმოწყობის სამუშაოები

ტრენინგი პროექტის - „დამწყები მეფუტკრე” ფარგლებში

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, პროექტის - „დამწყები მეფუტკრე“ ფარგლებში, პროგრამაში ჩართულ 7 ბენეფიციარს, ფუტკრის ოჯახები და შესაბამისი ინვენტარი გადასცა. პროექტის ფარგლებში, მერიის სხდომათა დარბაზში, პროექტში ჩართული ბენეფიციარებისთვის ტრენინგი ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო უნივერსისტეტის ლექტორმა, სერთიფიცირებულმა მეფუტკრემ, გიგა ჩემიამ ჩაატარა.

„დამწყები მეფუტკრე“ მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის და ქონების მართვის სამსახურის სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მეფუტკრეობის დარგით დაინტერესებული პირების ჩართულობას, ამ მიმართულებით მათი ცნობიერების ამაღლებას - თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესაძენად სათანადო პირობების შექმნას.

პროექტის მიზანი ბენეფიციართა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაა.

დევნილთა დასახლებაში

ყოფილი სამხედრო ქალაქის დევნილთა დასახლებაში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ორგანიზებით, ტრანსმისიური დაავადებების პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში, ანტიმალარიული სამუშაოები მიმდინარეობს.

სადეზინფექციო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს წევრთან, გიგა წურწუმიასთან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორთან, ანა ჭიჭაღუასთან და შესამაბისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

პრევენციის ფარგლებში, სადეზინფექციო სამუშაოები, რომელიც მავნე მწერებისა და კოღოების მოსასპობად მიმდინარეობს, ორ ეტაპად განხორციელდება - ივნისისა და აგვისტოს თვეებში.

მორიგი სხდომა

სენაკის სამხატვრო გალერეის საკონფერენციო დარბაზში, მუნიციპალიტეტის მერთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა.

სხდომას სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს წევრი, საბა ოდიშარია, მერიის სტრუქტურული ერთეულების, მერიის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელები და შესაბამისი სექტორების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სხდომაზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრაციისა და განვითარების ასოციაცია ,,ჰანგის“ თავმჯდომარემ, რუსლან საჯაიამ, შშმ პირთა მონაცემთა სრულყოფილი ბაზის შესაქმნელად საჭიროებათა კვლევის ჩატარების თაობაზე და შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფარგლებში, მისი დაფინანსების შესაძლებლობის განხილვის პროცედურებზე ისაუბრა. ასევე წარმოდგენილ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები - სენაკის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საბჭოს მიერ განხორციელებულ, მიმდინარე და სამომავლო პროექტებზე პრეზენტაცია სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა, საბჭოს მდივანმა, ნატალია ხუბუამ წარადგინა;

ა(ა)იპ ზუგდიდის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრის საქმიანობის/სერვისებისა და მუნიციპალიტეტთან მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივებზე ისაუბრეს ზუგდიდის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრის თავმჯდომარემ, სოფიო ჩახაიამ და ცენტრის წარმომადგენელმა, ნესტან ბეჭვაიამ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტებში ჩატარებულია საჭიროებათა კვლევა, გამოვლენილია პრიორიტეტები, რის საფუძველზეც შეიქმნება მოკლე და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა.

(გაგრძელება მესამე გვერდზე)

მ ი ლ ო ც ვ ა

ბატონ ვახტანგ გადეღიას!

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდ ოჯახურ ბედნიერებას, სიხარულს, უფლის წყალობას.

გვჯერა ჩვეული გულისხმიერებით გააგრძელებთ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ყველა ფენის ინტერესების დაცვას, მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, განათლების, კულტურის, სპორტული ობიექტების განახლება-შენებას.

წარმატებებს გისურვებთ ჩვენი მუნიციპალიტეტის, ჩვენი ქალაქის კეთილმოწყობა-აღმშენებლობის საქმეში.

გაზეთ ,,კოლხეთის" რედაქცია

მუნიციპალიტეტის მერიაში (დასასრული)

ტრენინგი - ნარჩენებისა და დასუფთავების სერვისების მართვაზე



სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში, გაეროს (UNDP) და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ერთობლივი პროექტის - ,,ქუჩების დასუფთავების და ნარჩენების მართვის სერვისებისთვის საქმიანობის მართვის სისტემის შემუშავება" ფარგლებში, ტრენინგი ჩატარდა.

ტრენინგს ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლები, რომლებიც ნარჩენების მართვის გეგმებზე მუშაობენ, ასევე საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრის წარმომადგენლები.

პროექტის მიზანია შემუშავდეს ნარჩენების მართვის სისტემა, რაც მუნიციპალიტეტებს მისცემს შესაძლებლობას პრობლემების დიაგნოსტირება ადრეულ ეტაპზევე მოახდინონ და შესაბამისად, გამოწვევები დროულად აღმოფხვრან. ამ მიმართულებით შეიქმნა სამუშაოს შესრულების მართვის სისტემის ვებ. აპლიკაცია, რომლის მიზანია მყარი ნარჩენების და ქუჩების დაგვა-დასუფთავების სერვისების მართვა. პროექტი - ,,ქუჩების დასუფთავების და ნარჩენების მართვის სერვისებისთვის საქმიანობის მართვის სისტემის შემუშავება" მიმდინარეობს გაეროს დაფინანსებით, მოიცავს 39 მუნიციპალიტეტს და მას ადგილობრივი კომპანია - პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფი - PMCG ახორციელებს.

შეხვედრა ვეტერან სპორტსმენთან

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს წევრებთან - საბა ოდიშარიასთან, გიგა წურწუმიასთან და მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსთან, გივი მისაბიშვილთან ერთად, სენაკის სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის ძიუდოს და სამბოს დამსახურებულ მწვრთნელ-მასწავლებელს, ელგუჯა გვასალიას შეხვდა და ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული გამარჯვება მიულოცა.

ვეტერანმა სპორტსმენმა, 2 ივნისს, ათენში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ძიუდოში ვეტერანებს შორის, მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

ელგუჯა გვასალიას, ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებელი თანხა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ დაუფინანსა.

სენაკელ ფალავანს, ძიუდოში, არაერთი სპორტული მიღწევა და ტიტული აქვს მოპოვებული: არის საქართველოს ორგზის ვიცე ჩემპიონი, საქართველოს ორგზის ჩემპიონი, მსოფლიო ბრინჯაოს მედლის მფლობელი, სპორტის ოსტატი ქართულ ჭიდაობაში.

სხივის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები

ეს სენაკის მუნიციპალიტეტის ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის სხივის ქუჩაა, სადაც წლების შემდეგ, პირველად ხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტი.

იგება ასფალტის საფარი.

ეს გზა ამორტიზებული იყო და მოსახლეობას გადაადგილებისას პრობლემებს უქმნიდა.

პროექტის განხორციელების შედეგად, მუნიციპალიტეტს კიდევ ერთი განახლებული ქუჩა შეემატება.

სენაკის მუნიციპალიტეტში, პარალელურად მიმდინარეობს მრავალბინიანი კორპუსების ფასადებისა და სახურავების რეაბილიტაციის პროექტები.

საგზაო ინფრასტუქტურული სამუშაოები გრძელდება აგარაკის, თაყაიშვილის, მთის კალთის, ფურცელაძის, შონიას, ვახტანგ მეფის, წერეთლის ქუჩებზე, რუსთაველის მეორე ჩიხში, სამხედრო დასახლებაში.

საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს ლეძაძამეს, ძველი სენაკის, ნოქალაქევისა და უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

პირველ ადგილზე ესსეების კონკურსში

სენაკის პირველმა საჯარო სკოლამ მიმდინარე წელს 92 კურსდამთავრებულს დაულოცა გზა ცხოვრების დამოუკიდებელ ასპარეზზე. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობდნენ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში, საგნობრივ ოლიმპიადებსა და შემეცნებით პროექტებში.

წარმატებულ მოსწავლეთა შორის გამოირჩევა ცოტნე ეჯიბია. შეიძლება ითქვას, რომ ცოტნემ დაწყებითი კლასიდან დაიწყო ზრუნვა საკუთარი შესაძლებლობისა და ინტერესების უწყვეტ განვითარებაზე, მისთვის დამახასიათებელია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება. სისტემატურად ეცნობა ტექნოლოგიურ და ინტელექტუალურ მიღწევებს, აქვს სხარტი აზროვნება. ცოტნე ეჯიბია შიდასასკოლო საგნობრივ ოლიმპიადებში, სასწავლო შემოქმედებით კონფერენციებში, რესპუბლიკის მასშტაბით გამართული შემეცნებითი პროექტების არაერთგზის გამარჯვებულია.

სხვადასხვა წლებში განათლების სამინისტროს, გაეროს განვითარების პროგრამის, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კონკურსში გამარჯვებისათვის მიღებული აქვს პირველი ხარისხის დიპლომები (2016-2018წწ) ,,სმარტის" ლოგიკის კონკურსი, არის საქართველოს საუკეთესო მოსწავლეთა კლუბისა და ქართული ენის დამცველთა რაზმის წევრი, მოპოვებული აქვს ქართული ენის საპატიო ტიტული-,,კეთილ ნების ელჩი", გამარჯვებულია ნომინაციებში ,,რელევანტური შეფასება", ,,მიზანმიმართული ლოგიკა", ,,სპეციფიკური აზროვნება" და სხვა.

ხელოვნების (მასწავლებელი **ემილ გეგენავა**) და ქართული ენის(მასწავლებელი **ნონა ჩიჩუა**) ოლიმპიადებში გამარჯვებისათვის დაჯილდოებული იყო კულტურულ-შემეცნებითი საგზურებით ბაქოსა და ანაკლიაში. წარმატებით მონაწილეობდა ,,ადამიანის უფლებათა ასოციაციის" ორფაზიან ტრენინგში ,,ახალგაზრდობის პოლიტიკის, ახალგაზრდების მონაწილეობისა და აქტიური დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ".

მიმდინარე წლის მაისში საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებისათვის საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის GDI და გაეროს განვითარების პროგრამის და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით გამოცხადებულ ესსეების კონკურსში თემაზე ,,ჰომოპჰობია-საფრთხე დემოკრატიისათვის" პირველი ადგილი ხვდა წილად სენაკის №1 საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლეს ცოტნე ეჯიბიას. ესსების კონკურსის სლოგანი იყო ,,სამოქალაქო განათლება ყველასათვის" (სამოქალაქო განათლების პედაგოგი **თ. პაპასქირი**).

ესსეების კონკურსში საქართველოს მასშტაბით სულ მონაწილეობდა სხვადასხვა მუნიციპალიტეტებისა და თბილისის საჯარო სკოლების 48 მონაწილე.

დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა ქ. თბილისში საქართველოს გაეროს წარმომადგენლობის ოფისში. ცოტნე ეჯიბიას და სხვა გამარჯვებულებს სიგელებსა და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს გაეროს განათლების პროგრამის ,,საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის" წარმომადგენლებმა და ჟიურის წევრებმა.

სკოლის დირექციის სახელით ვულოცავთ ცოტნე ეჯიბიას პირველი ადგილის მოპოვებას და სკოლის წარჩინებით დამთავრებას.

წინ ეროვნული გამოცდებია - გვჯერა ცოტნე ღირსეულად შეაჯამებს 12 წლის განმავლობაში მიღებულ ცოდნას. საუკეთესო გონებრივი მონაცემების, ჯანსაღი ფიზიკური უნარ-ჩვევების მქონე ახალგაზრდა მომავალში კარგ სპეციალისტად, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელ ადამიანად ჩამოყალიბდება.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩვენი სკოლის, მუნიციპალიტეტის სასწავლო სკოლების ყველა კურსდამთავრებულს მივულოცო სკოლის დამთავრება და ვუსურვო წარმატებული საქმიანობა.

რუსუდან მალანია

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი

ჩვენს ქვეყანაში საუკუნეების მანძილზე სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და განვითარებაში. საქართველო ხომ მიწათმოქმედების ქვეყანაა, სოფლის მეურნეობის განვითარების გარეშე კი ქვეყნის წინსვლა თითქმის შეუძლებელია. რამდენად სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ნელა, მაგრამ მაინც იწყებს სოფლის მეურნეობა აღორძინებას.

დღეს ჩვენი სტუმარია შპს ,,დივანის" დირექტორი, ახალსოფლის მკვიდრი, პროფესიით მექანიზატორი, სოფლის მეურნეობაზე, მიწაზე შეყვარებული ადამიანი, მამუკა გოგავა. ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი.

ის მოგვიყვება საწარმოს შესახებ, როგორ აწარმოებს ყველაზე ,,მოთხოვნად" პროდუქტებს, ასევე სამომავლო გეგმებზე.

პირველ რიგში გიხდით მადლობას მოწვევისათვის და რომ მომეცით საშუალება თქვენი გაზეთის მკითხველებს მოვუყვე ჩემი საქმიანობის შესახებ და გავუზიარო გამოცდილება.

სანამ შპს ,,დივანში" დავიწყებდი მუშაობას, დაკავებული ვიყავი საოჯახო მეურნეობით. მაქვს სასათბურე მეურნეობა, სადაც ძირითად გამომყავს ჩითილები, რომლის რეალიზაციას ვახდენ ადგილობრივ ან მეზობელი მუნიციპალიტეტების აგრარულ ბაზრობებზე.

ვთვლი, რომ დროა ქართველი კაცი დაუბრუნდეს მინას. ჩემთვის მიუღებელია ის ფაქტი, რომ საქართველოში სამომხმარებლო კალათის 80% იმპორტირებულია, მაშინ როცა ჩვენ გაგვაჩნია ყველა საჭირო ბუნებრივი რესურსი და პირობა იმისათვის, რომ ადგილობრივად ვაწარმოოთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები და იმპორტული ჩავანაცვლოთ ადგილობრივი ნაწარმით.

რაც შეეხება ჩვენს საწარმოს, ახალსოფლის ტერიტორიაზე გვაქვს 15 ჰა-მდე მიწის ფართობი. სადაც დავრგეთ 4 ათასამდე ძირი ტყემალი.

ტყემალი 7-8 წლის მერე იწყებს სრულ მსხმოიარობას, ამიტომ გადავწყვიტეთ არ მოგვეცდინა მიწის ნაკვეთი და მოგვეყვანა ყველაზე მაღალმოთხოვნადი ბოსტნეული. შარშან დათესილი გვქონდა წიწაკა, ტკბილი წიწაკა და საკმაოდ კარგი შედეგი მივიღეთ.

წელს პირველი პარტია მოსავალი უკვე ავიღეთ. ეს იყო ყვავილოვანი კომბოსტო, ბროკოლი, სხვადასხვა სახეობის სალათის ფოთლები. ჩვენი ბარაქიანი მიწა იძლევა იმის საშუალებას რომ წელიწადში ორჯერ მივიღოთ მოსავალი ერთი და იგივე ფართობიდან. ამ ეტაპზე მოსამზადებელი სამუშაოები შესრულებულია. 5 ჰა-ზე ვაპირებთ გოგრის(,,ჩქინობურა") და 2 ჰა-ზე ნესვისა და საზამთროს დათესვას.

ამ ბოლო დროს გაიზარდა მოთხოვნა ქართულ ნიორზე, რომელსაც ბევრად უფრო სასარგებლო თვისებები გააჩნია, ვიდრე ირანიდან ან რომელიმე სხვა ქვეყნიდან შემოტანილ ნიორს. გადაწყვეტილი გვაქვს შემოდგომაზე 5 ჰა-ზე დავრგოთ ქართული ნიორი.

საწარმოში დასაქმებულებია სოფლის ადგილობრივი მოსახლეობა, მათ შორის 4 მუდმივად მუშაობს, ხოლო სეზონურ სამუშაოებზე, მოსავლის აღების დროს გაცილებით მეტს ვასაქმებთ.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, გარდა ზემოთხსენებულისა, გადაწყვეტილი გვაქვს სანერგე მეურნეობის შექმნა.

უნდა აღინიშნოს, რომ მცირე მეწარმეთათვის აუცილებელია წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობა, რაც მთავრობის პრიორიტეტს წარმოადგენს. რეალიზაციის ხელშეწყობა კარგია მოსახლეობაში მოტივაციის გასაზრდელად, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში.

დარწმუნებული ვარ სახელმწიფოს თანადგომა აუცილებლად გამოიღებს შედეგს. ჩვენი ქვეყანა მდიდარია ნაყოფიერი მიწის რესურსებით, რომლის სრული გამოყენება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და აუცილებელია ჩვენი ქვეყნისთვის. ბატონ მამუკას კი ვუსურვებთ წარმატებებს თავის საქმიანობაში

მ. გერგაია

,,სენაკი არტ ფესტი 2022”

დიდი კულტურული ტრადიციების მქონე სენაკმა უკვე მეცხრედ ღირსეულად უმასპინძლა ,,სენაკი არტ ფესტივალი 2022”, რომელიც საქართველოს კათოლიკოს –პატრიარქის ილია II-ს პატრონაჟით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და ხელოვნების აკადემიის რექტორის, მსოფლიოში ცნობილი პიანისტის ვალერიან შიუკაშვილის ორგანიზებით გაიმართა.

ფესტივალი დაარსდა 2013 წელს, ეს იყო სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური ფესტივალი, რომელიც 2014 წლიდან გაფართოვდა და მასში უკვე მონაწილეობა მიიღეს არა მარტო ამ რეგიონის ახალგაზრდა მუსიკოსებმა, არამედ მთლიანად დასავლეთ საქართველოს სამუსიკო და სახელოვნებო სკოლების მოსწავლეებმა, თუ I ფესტივალი მხოლოდ მოსწავლეთა მოსმენით შემოიფარგლა, 2014 წლიდან, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, კულტურის სამსახურის მხარდაჭერით ფესტივალი მიმდინარეობდა ორი მიმართულებით, მოსწავლეთა მოსმენები და ცნობილ მუსიკოს-შემსრულებელთა კონცერტები, რომელმაც ფესტივალი უფრო საინტერესო და მოთხოვნადი გახადა.

სენაკის ხელოვნების ფესტივალის დამფუძნებელი და უცვლელი ხელმძღვანელი არის ვალერიან შიუკაშვილი-მსოფლიოში ცნობილი პიანისტი, საქართველოს ხელოვნების აკადემიის დამფუძნებელი და დირექტორი, მრავალი რესპუბლიკური და საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, ბავშვთა და ახალლგაზრდა მუსიკოსთა საერთაშორისო კონკურსების ჟიურის წევრი.

ფესტივალი ჩატარდა 2013-19 წლებში, 2020 წელს კი ფესტივალი კოვიდ 19-ის პანდემიის გამო ვერ ჩატარდა, მაგრამ 2021 წელს სენაკელი და დასავლეთ საქართველოს ნორჩ მუსიკოსთა და სამუსიკო და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და მშობელთა გასახარად ფესტივალის გამართვა შესაძლებელი გახდა კოვიდრეგულაციების სრული დაცვით. აღსანიშნავია ის, რომ მონაწილეთა რაოდენობა იყო მცირე.

აღნიშნულ წლებში ფესტივალის საკონცერტო ნაწილი მდიდარი იყო მსოფლიოში ცნობილი მუსიკოს-შემსრულებლების შემოქმედებით, წარმოდგენილი იყო თითქმის ყველა ჟანრი: კლასიკა-საფორტეპიანო, საორკესტრო, კლასიკური ვოკალი, კლასიკური გიტარა აკორდეონი.... ფოლკლორი-ხალხური, ქალაქური, Eესტრადა არაჩვეულებრივი ქართველი საესტრადო მომღერლები, ჯაზური მუსიკა... იყო შეხვედრები ცნობილ კომპოზიტორებთან, თეატრალებთან, სიმებიან კვარტეტთან, ჩატარდა მასტერკლასები.

ასევე წარმატებით მიმდინარეობდა ნორჩ მუსიკოსთა მოსმენები თითქმის ყველა ჟანრში, ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს ნორჩმა პიანისტებმა, მევიოლინეებმა, ალტისტებმა, ჩელისტებმა, კლარნეტისტებმა, ფლეიტისტებმა, საქსოფონისტებმა, კლასიკურმა ვოკალისტებმა, საესტრადო მომღერლებმა და ანსამბლებმა...

მოსმენებმა გამოავლინა ნიჭიერი თაობა, რომლებიც დაჯილდოვდნენ სიგელებით, საპატიო დიპლომებით, ლაურეატის დიპლომებით და ფესტივალის რეკომენდაციით გაგზავნილ იქნენ საზღვარგარეთ, ბავშვთა და ახალგაზრდულ საერთაშორისო კონკურსებზე, სადაც ასევე მოიპოვეს საპრიზო ადგილები და საზღვარგარეთ სამუსიკო სასწავლებლებში სწავლის უფლება. სენაკის ხელოვნების ფესტივალის აღმოჩენები დღესაც წარმატებით აგრძელებენ აღმასვლას მუსიკალურ კარიერაში, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

ფესტივალში მონაწილეთა გეოგრაფია ასეთი იყო: იმერეთი - ქუთაისი, წყალტუბო, ზესტაფონი, ხარაგაული, თერჯოლა, ვანი, სამტრედია, სამტრედიის მუნიციპალიტეტეის სოფლები: ტოლები, დიდი ჯიხაიში, კულაში, გომი, ჭიათურა, საჩხერე, ხონი, ბაღდათი, რაჭიდან -- ამბროლაური, სამეგრელოდან --აბაშა, სენაკი, მარტვილი, ჩხოროწყუ, ფოთი, ზუგდიდი, ხობი, გურიიდან–ლანჩხუთი, სუფსა, აჭარიდან - ბათუმი, ხელვაჩაური, კახეთიდან -თელავის სამუსიკო სასწავლებელი.

,,სენაკის ხელოვნების ფესტივალ-2022”-ში კვლავ დიდი სიხარულით და ინტერესით მიიღეს მონაწილეობა: სრულიად იმერეთმა-წელს პირველად ფესტივალს დაემატა ტყიბულის სახელოვნებო სკოლა, ასევე სრულიად სამეგრელომ, ბათუმის ყველა სახელოვნებო და სამუსიკო სკოლამ, გურიიდან –პირველად მიიღეს მონაწილეობა ოზურგეთისა და ჩოხატაურის სამუსიკო სკოლებმა ლანჩხუთსა და სუფსასთან ერთად. და პირველად ფესტივალის ისტორიაში სენაკში ჩამოვიდნენ თბილისის, რუსთავის, ხაშურის სამუსიკო და სახელოვნებო სკოლების წარმომადგენლები...

სენაკის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლიდან ფესტივალის მეორე დღეს მონაწილეობა მიიღო 150-ზე მეტმა მოსწავლემ, სკოლა ჟიურის წინაშე წარსდგა 70-მდე მუსიკალური ნომრით, რაც რეკორდულია წინა წლებთან შედარებით. მათ შორის - პიანისტმა, - მევიოლინემ, - საფორტეპიანო განყოფილების მოსწავლეებმა, ფოლკლორულმა ანსამბლმა ,,მორდუმ”, ვოკალურმა ანსამბლმა, ფოლკლორულმა ტრიომ, მევიოლინეთა ანსამბლმა, გიტარისტთა ანსამბლმა, მევიოლინეთა და გიტარისტთა გაერთიანებულმა ანსამბლმა და ბოლოს გაერთიანებულმა გუნდმა.

სენაკელმა მოსწავლეებმა, რომლებიც ლაურეატები გახდნენ, მონაწილეობა მიიღეს ფესტივალის კონცერტებში დახურვის ცერემონიალის გალა-კონცერტზე.

სულ ფესტივალმა 33 ლაურეატი გამოავლინა, რომელთაც თავის არაჩვეულებრივი შესრულებით მოხიბლეს მსმენელები და დიდი ოვაციები დაიმსახურეს.

ფესტივალის მიმდინარეობისას ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებმა გადავწყვიტეთ გავსაუბრებოდით ფესტივალის ხელმძღვანელს ვალერიან შიუიკაშვილს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ვახტანგ გადელიას და მონაწილეებს.

ვალერიან შიუკაშვილი

მინდა ვისაუბრო სენაკის ხელოვნების ფესტივალის შესახებ, თუ როგორ ჩაიარა და რა აზრის ვარ მე სენაკის წლევანდელ არტ ფესტივალზე.

არ დავიწყებ საუბარს საკონცერტო მხარეზე და ორგანიზატორებზე, ეს ისედაც ყველამ დავინახეთ, როგორ უმაღლეს დონეზე იყო შესრულებული ყველაფერი, მე მინდა ვთქვა სამუსიკო და სახელოვნებო სკოლებსა და იმ ნიჭიერ ბავშვებზე, რომლებიც სენაკის ფესტივალის აღმოჩენები, ლაურეატები და უბრალოდ მონაწილეები გახდნენ.

,,სენაკის ხელოვნების ფესტივალი - 2022”-ში მონაწილეობა მიიღო საქართველოს 64 სამუსიკო და სახელოვნებო სკოლის 2554-მა მონაწილემ შემდეგ სპეციალობებში: ფორტეპიანო, სიმებიანი და ჩასაბერი საკრავები, კლასიკური და საესტრადო ვოკალი, კლასიკური გიტარა, ვოკალური ,ინსტრუმენტული და ფოლკლორული ანსამბლები, უმცროსკლასელთა, უფროსკლასელთა და გაერთიანებული გუნდები.

ფესტივალმა საქართველოს სხვადასხვა კუთხის სამუსიკო და სახელოვნებო სკოლებიდან 33 ლაურეატი გამოავლინა, რომელთაც დაუკრეს ფესტივალის საზეიმო დახურვაზე. ბევრმა მოსწავლემ მიიღო ჯილდო სტიპენდიის - ერთწლიანი უფასო სწავლის, ფესტივალზე თუ კონკურსზე გამგზავრების სახით....

მინდა აღვნიშნო, რომ წლევანდელი ფესტივალი, წინა წლებისაგან განსხვავებით ბევრად მაღალი დონით გამოირჩეოდა. მინდა მადლობა გადავუხადო პედაგოგებს და დირექტორებს და იმედი ვიქონიო, რომ შემდეგი X საიუბილეო ფესტივალი საქართველოს სამუსიკო და სახელოვნებო სკოლების ზეიმად გადაიქცევა.

მადლობა საქართველოს ტელემაუწყებლობის პირველ არხს მხარდაჭერისათვის, სენაკის მუნიციპალიტეტს და ყველა ადამიანს, ვინც გულითადად უდგას გვერდში ამ ფესტივალს ახალი სახელების აღმოჩენაში. ბოლოს მინდა წარმატება ვუსურვო ყველა აღმოჩენას იმ ურთულეს და ულამაზეს გზაზე, რასაც მუსიკოსის ცხოვრება ჰქვია.

ვახტანგ გადელია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი - პირველ რიგში განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ვალერიან შიუკაშვილს იმ შრომისა და ლამაზი დღეებისთვის, რომელიც მან აჩუქა ჩვენს მონაწილეებს, სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელებს და ჩვენს მოსახლეობას.

ასევე მინდა კმაყოფილება გამოვხატო თითოეული მონაწილის მიმართ, რომლებიც აზიარებდნენ ჩვენს სენაკს და სენაკელებს იმ ხელოვნებას, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მიხარია, რომ ტრადიციები გრძელდება და დარწმუნებული ვარ მომავალშიც გაგრძელდება, რადგან სენაკი ყოველთვის გამოირჩეოდა კულტურით, ხელოვნებით.

ძალიან ბედნიერი ვარ, რომ სენაკში არიან საამაყო და ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც აუცილებლად იტყვიან თავიანთ სათქმელს და თავს დაამახსოვრებენ მთელ საქართველოს.

მანანა კიკაბიძე, ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი - სენაკის არტ ფესტივალში უკვე მე-9 წელია ვღებულობთ მონაწილეობას. ეს არის არაჩვეულებრივი საშუალება მოსწავლეების ნიჭიერების წარმოჩენისა. მინდა მადლობა გადავუხადო ფესტივალის სულიჩამდგმელს ბატონ ვალერიან შიუკაშვილს. იგი უმნიშვნელოვანეს საქმეს აკეთებს. მომავალ წელს, როგორც ვიცით საიუბილეო თარიღია და ალბათ ის კიდევ უფრო მასშტაბურად აღინიშნება. რათქმაუნ-

,,სენაკი არტ ფესტი 2022”

(დასასრული)

და ჩვენი სასწავლებელი ყოველთვის სენაკის გვერდით არის და მომავალშიც ასე გაგრძელდება. მინდა წარმატებები ვუსურვო თითოეულ მონაწილეს და პედაგოგს.. გარდა ამისა, არ შემიძლია არ ავღნიშნო სენაკის მუნიციპალიტეტის მერია და მადლობა არ ვუთხრა ფესტივალის ორგანიზატორებს, მუნიციპალიტეტის მერს და კულტურის განყოფილებას. როგორც ვიცით მათი მხრიდან არის საოცარი თანადგომა, რომ არა ეს ადამიანები ეს ფესტივალი ვერ შედგებოდა.

მარინა კვერნაძე, წყალტუბოს სამუსიკო სკოლა -მოხარული ვარ, რომ ეს ფესტივალი ტრადიციად იქცა. მადლობას ვუხდი ფესტივალის მთავარ ადამიანს ვალერიან შიუკაშვილს, სენაკის მუნიციპალიტეტს, სენაკის სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელობას ასეთი თბილი

და სასიამოვნო დახვედრისათვის. ეს ფესტივალი ჩვენი ბავშვებისთვის ძალიან დიდი სტიმული და უდიდეს მოტივაციას გვძლევს მომავალი საქმიანობისთვის. დღეს ძალიან ბედნიერი დღე გვაქვს.

თამარ კვირკელია, ოზურგეთის გრიგოლ გუდაძის სახელობის სამუსიკო სკოლა ძალიან ბედნიერი ვარ რომ დღეს აქ ვიმყოფები და ჩემი ბავშვები ღებულობენ მონაწილეობას ფესტივალის დახურვის დასკვნით კონცერტში. ძალიან მომეწონა თქვენი პატარა, მაგრამ კოხტა და ლამაზი ქალაქი.Dდღეს განსაკუთრებული დღე აქვს ჩემს პატარებს. არიან გახარებულები და ბედნიერები. მინდა ყველა მათგანს ვუსურვო წარმატება. არ შემიძლია მადლიერება არ გამოვხატო ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც წვლილი შეიტანა ამ მეტად მნიშვნელოვანი ფესტივალის ორგანიზებაში. სამწუხაროდ ამ ბოლო პერიოდში არ ვართ განებივრებული მსგავსი ღონისძიებებით. ყველას გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას და დღევანდელი საღამოს სასიამოვნოდ გატარებას.

იაგო ქებურია, კომპოზიტორი, წინა წლების ყოფილი კონკურსანტი - 2013-2014 წლებში მე თვითონ ვიყავი ამ კონკურსის მონაწილე. მაშინ პიანისტი გახლდით, ეხლა უკვე კომპოზიტორი ვარ და ჩემს ნაწარმოებებს დღეს უკვე მონაწილეები უკრავენ. მიხარია და მისასალმებელია, რომ ტრადიცია არ ირღვევა და ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფესტივალი გრძელდება. ვამაყობ, რომ ვარ ამ ულამაზესი, სტუმართმოყვარე, ხელოვნების და კულტურის მოყვარული კუთხის შვილი. ყველა მონაწილეს ვუსურვებ წარმატებას. ვფიქრობ, რომ თითოეული მონაწილეს ამგვარი კონკურსები დიდ პროფესიონალიზმსა და გამოცდილებას სძენს.

სენაკის სამუსიკო სკოლის პარალელურად საღამოს საათებში აკაკი ხორავას სახელობის დრამატულ თეატრში მიმდინარეობდა მუსიკალური საღამოები ცნობილი ხელოვანების მონაწილეობით. ფესტივალის პირველ დღეს თავისი არაჩვეულებრივი ხელოვნება წარმოადგინა ცნობილმა საოპერო მომღერალმა მეცოსოპრანომ ნატალია ქუთათელაძემ, რომელსაც აკომპანირებას უწევდა ქართველი პიანისტი დათუნა ალადაშვილი. ხოლო მეორე დღეს დამსწრე საზოგადოების წინაშე თავად დათუნა ალადაშვილი წარსდგა. კონცერტზე შესრულდა ცნობილი კომპოზიტორების საფორტეპიანო ნაწარმოებები. პიანისტმა უპასუხა ახალგაზრდების შეკითხვებს. შემდეგ თვით ვალერიან შიუკაშვილმა, კონსერვატორიის სტუდენტებთან მიხეილ ოთარაშვილთან - ფორტეპიანო, ირაკლი ფხალაძესთან ვოკალი ბასბარიტონი –ბარიტონი –ერთად კონცერტმეისტერი ნინი ჯავახიძე, სატელევიზიო პროექტ ,,რანინას” მონაწილეებთან, რომლებიც წარადგინა ,,რანინას: ცნობილმა წამყვანმა გიგო შიუკაშვილმა. შემდგომ დღეებში მასტერკლასები ჩაატარეს ტარიელ სუარმა-ცნობილმა გიტარისტმა და პედაგოგმა, ნათია ქავთარაძემ, თბილისის კონსერვატორიის პროფესორმა, ცნობილმა სახეებმა, მსახიობებმა თათული ედიშერაშვილმა და თამარ ნიკოლაძემ. და ბოლოს ფესტივალი დაიხურა გრანდიოზული გალა- კონცერტით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ ლაურეატებმა.

გალა ცონცერტს ესწრებოდნენ სენაკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ვ. შიუკაშვილმა მადლობა გადაუხადა სენაკის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ვახტანგ გადელიას, მერის მოადგილეს ბატონ გრიგოლ ბაღათურიას, მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსს ბატონ გივი მისაბიშვილს, სამსახურის მთავარ სპეციალისტს ქალბატონ ირმა კუპრეიშვილს და ყველას ვინც გარკვეული შრომა ჩადო ამ ფესტივალის აღდგენასა და მეორედ დაბადებაში.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ქალბატონმა ნატალია ხუბუამ საქართველოს ქალთა საბჭოს სახელით ვალერიან შიუკაშვილს მადლიერების სიგელი გადასცა.

გალა-კონცერტი ტრადიციულად დასრულდა სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის გაერთიანებული გუნდის მიერ შესრულებული ვაჟა აზარაშვილის სიმღერით ,,მუსიკა”, რომელიც ფესტივალის ჰიმნად არის აღიარებული და გრანდიოზული ფოიერვერკებით.

მომავალ წელს ფესტივალი მეათედ გაიმართება, ეს საიუბილეო ფესტივალი იქნება, რომელშიც ბატონი ვალერიან შიუკაშვილი ბევრ სასიამოვნო სიურპრიზს ჰპირდება მუსიკალურ საზოგადოებას.

შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნების ზეიმით სენაკის კულტურული ცხოვრების მატიენეში კიდევ ერთი ლამაზი და ღირსსახსოვარი ფურცელი ჩაიწერა.

მარიკა მიქაბერიძე
რუსუდან მილუტინი

ახალგაზრდობა იმედი ხვალის

დღეს ხშირად გვესმის, რომ 21-ე საუკუნეში ადამიანის წარმატებული მოღვაწეობისთვის „განსხვავებული“ და „განსაკუთრებული“ თვისებების ქონაა აუცილებელი. ჩვენ გვინდა ჩვენს ქვეყანაში წიგნიერი, განათლებული თაობის არსებობა, რადგან ჩვენი ქვეყნის მომავალს სწორედ ისინი განსაზღვრავენ. და მაინც როგორია ჩვენი ახალგაზრდა თაობა, როგორია მათთვის თავისუფლების, შრომის ფასი, როგორ უყვართ საკუთარი ქვეყანა, რას ფიქრობენ ქვეყნის მომავალზე, რომელიც წლების შემდეგ თვითონ უნდა გადაიბარონ და გახდნენ ქვეყნის განვითარებაზე პასუხისმგებელნი, არის თუ არა მათთვის განათლება ქვეყნის მომავლისათვის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი.

ნომრის სტუმრები არიან სხვადასხვა საჯარო და კერძო სკოლების კურსდამთავრებულები. ისინი დღეს ჩვენს შეკითხვებს უპასუხებენ.

კითხვა - თქვენ 21-ე საუკუნის ახალგაზრდები ხართ, ბარიერებ მოხსნილი, ცენზურა ამოღებული, საკუთარი უფლებებით აღჭურვილი... სამყაროს შვილები. საინტერესოა თავისუფლების აღქმა თქვენთვის რა „ფერია“?



თეკლა კანკია -თავისუფლების განსაზღვრა რთულია, რადგან თითოეული ადამიანი თავისებურად აღიქვამს მას. ჩემი აზრით, თავისუფლების ქონა ხელს უწყობს ადამიანის,განსაკუთრებით მოზარდის განვითარებას.

ჩემთვის თავისუფლება ფერადია. ვერცერთ ფერს მივუსადაგებ ამ სიტყვას,რადგან თავად სიტყვა მოიაზრებს ყველაფერს კარგს, რაც შეიძლება ადამიანს განვითარებაში და მოქმედებაში დაეხმაროს.

მარიამ ვეფხვაძე - თავისუფლება ყველასათვის სხვადასხვანაირად აღიქმება, ზოგისთვის ეს ბარიერმოხსნილი ცხოვრებაა, ჩემთვის კი ბრძოლაა. როცა ვფიქრობ საქართველოს წარსულზე და ვხვდები, რომ იმ ეპოქების ქართველებმა გახადეს საქართველო თავისუფალი. ჩემთვის პიროვნული თავისუფლება ქვეყნის თავისუფლებას უტოლდება და რა თქმა უნდა მიმაჩნია, რომ როგორც ყველაფერს, თავისუფლებასაც აქვს საზღვრები, რაც შეეხება თავისუფლების ფერს, ბევრი ვიფიქრე და მაინც გონებაში ვარდისფერი მაგონდება. თავისუფლება ვარდისფერი სათვალეა, რომლიდანაც ყველაფერს ლამაზად და ბედნიერად ვხედავთ.

ნიკო კაჭარავა - მე მაინც მგონია, რომ თავისუფლების სიმბოლო თეთრი ფერია. ყველაზე წმინდა და ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ფერი. სწორედ თეთრის ფონზე შეუძლია ადამიანს უფრო მკვეთრად აღიქვას სხვა ფერები, ისევე, როგორც თავისუფლების ფონზე გხვდება თვალში ადამიანის გამორჩეული თვისებები. ამაშია მსგავსება თავისუფლებასა და თეთრ ფერს შორის, ისინი უმთავრესი არიან, ერთი ღირებულებებს შორის, მეორე ფერებს შორის.

ლუკა ნაკაშია - ნამდვილად, ჩვენი თაობა ცენზურა ამოღებული თაობაა და მის თითოეულ წევრს ინდივიდუალური განმარტება გააჩნია თავისუფლებაზე. თავისუფლება უბრალოდ სურვილისამებრ შეუზღუდავად მოქმედება არ არის, ის უფრო ასოცირდება საკუთარი თავის სრულყოფილ ფლობასთან, როდესაც გაგაჩნია უნარი, აკონტროლო საკუთარი გონება და მიმართო ის შენი სურვილისამებრ.

ცოტნე ეჯიბია - ჩვენ დავიბადეთ, გავიზარდეთ და ვყალიბდებით იმ ეპოქაში, რომელშიაც კაცობრიობა სინათლის სიჩქარით მიემართება განვითარებისა მწვერვალებისკენ. ბუნებრივია ჩემი თაობის ინტერესები, მისწრაფებები, მსოფმხედველობა რადიკალურად განსხვავდება წინა თაობისგან. საბედნიეროდ ჩვენ გაცილებით უკეთეს პირობებში მოგვიწია ცხოვრებამ. გვაქვს საშუალება მივიღოთ შეასაბამისი განათლება და დავეუფლოთ ჩვენთვის სასურველ პროფესიას, თანამედროვე ტექნოლოგიებს და ადამიანური კაპიტალის რაციონალურად გამოყენების შემთხვევაში ვფლობთ წარმოუდგენელად დიდ რესურსებს. პიროვნული განვითარებვისთვის, თვითრეალიზაციისთვის ჩვენს ირგვლივ ჰაერივით საჭირო ცვლილებების განხორციელებისთვის და ა.შ. მართლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოყვარული თაობა ვართ, თუმცა ერთი რამ კარგად უნდა გვესმოდეს. წარმოუდგენელია უფლებებისა და შესაძლებლობების არსებობა იქ, სადაც უფლებებს მოვალეობები და ვალდებულებები არ ერწყმის. მხოლოდ ამ კომპონენტთა შეჯერებით შევძლებთ ჭეშმარიტად თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომლის მთავარი ღირებულებები და ფასეულობები დამყარებული იქნება პიროვნების სამართლებრივ სოციალიზაციაზე, მორალურ ჩარჩოებზე, ღირსებასა და პატივისცემაზე.

დიმიტრი გვასალია - თავისუფლება ადამიანის ყველაზე ღირებული მონაპოვარია და მის გარეშე ადამიანი არაფერს წარმოადგენს. როდესაც ჩვენ დამოუკიდებელ, გამთლიანებულ სახელმწიფოში ცხოვრებაზე ვსაუბრობთ, როდესაც გვინდა დავიცვათ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები და კულტურა, როდესაც გვინდა იყოს მშვიდობა, კეთილდღეობა, სამართლიანობა და ერთიანობა, ეს იმას ნიშნავს რომ ჩვენ პირველ რიგში გვინდა თავისუფლება, რადგანაც ადამიანი მაშინაა ყველაზე ძლიერი, როდესაც ის თავისუფალია.

ლუკა ჯოჯუა - ბედნიერებას თავისუფლებასთან ვაიგივებ და ასეც არის, თავისუფლება ხომ ბედნიერებაა. ჩვენც სწორედ ეს ბედნიერება გვინდა. არ არსებობს დედამიწაზე იმაზე აღმატებული გრძნობა, როგორიც ბედნიერებაა, ამიტომაც თავისუფლება ის უძვირფასესი ღირებულება, რაც ადამიანს ადამიანად ყოფნის სიამოვნებას აგრძნობინებს და სწორედ ამიტომ ჩემთვის თავისუფლებას ბედნიერების ფერი აქვს.

კითხვა: გზაგასაყარზე დგახართ, ვინ საით - თქვენ ირჩევთ. როგორ აპირებთ თავის თავს და სამშობლოს ემსახუროთ?

თეკლა კანკია - ჩემს ასაკში, მაშინ როცა ჯერ არც პროფესიას დაუფლებია ადამიანი და, არც ზუსტად იცის რა უნდა ქნას ცხოვრებაში, მთავარია ფიქრი და მოძრაობა. მოძრაობის გარეშე, ვფიქრობ,არაფერია შესაძლებელი. როგორც ერის სულიერი მამა გვასწავლის: “მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა არის... ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი”. მართლაც, თუ არ ვიბრძოლეთ სამართლიანობისა და თავისუფლებისთვის, ვერც მოვიპოვებთ მას.

მარიამ ვეფხვაძე - ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წლებია, უკვე პატარა აღარ ვარ და ცხოვრების ახალ ეტაპზე გავდივარ... ვერც ვფიქრობ, როგორ შეიძლება იყოს ჩემი მომავალი, მაგრამ მუდამ ვეცდები პირველ რიგში ჩემი ოჯახი არ დავაღალატო და ყველაფერი გავაკეთო ქვეყნის განვითარებისათვის.

ნიკო კაჭარავა - გზაგასაყარზე ნამდვილად ვდგავარ, წელს ვამთავრებ სკოლას და გადავდივარ ცხოვრების სხვა ეტაპზე. დიდი სურვილი მაქვს გავხდე მსახიობი. ამ პროფესიით მე შემიძლია ვემსახურო ჩემს თავსაც და მაყურებელსაც. თეატრი არის ყველაზე დიდი მასწავლებელი, რომელიც პერსონაჟების მაგალითზე გვასწავლის კარგისა და ცუდის გარჩევას, “გვაიძულებს” ვიფიქროთ ნანახზე, ჩავწვდეთ მთავარ სათქმელს და გავაანალიზოთ ის. თეატრი ფიქრის ტაძარია. ის გვაძლევს საშუალებას გავექცეთ რეალობას, თუმცა ამგვარი გაქცევა უფრო დიდ რეალობაში წასვლას ნიშნავს. კარგად მაქვს გაანალიზებული რამხელა ტვირთია იყო მსახიობი და თავს მისცე უფლება ცხოვრების ავკარგიანობა “ასწავლო” მაყურებელს. დიდი იმედი მაქვს, რომ შევძლებ ვემსახურო ამ პროფესიას ისე, როგორც მას ეკადრება.

ცოტნე ეჯიბია - ყოველთვის ვთვლიდი, რომ ახალგაზრდა ადამიანის მთავარი მიზანი გარემოს „გამოცოცხლება“ და არსებული რეალობის უკეთესობისკან შეცვლა უნდა ყოფილიყო. პირად კეთილდღეობასთან ერთად სწორად ეს მიზანი უნდა ჰქონდეს ახალგაზრდას, როდესაც იგი ირჩევს მომავალ პროფესიას, მიმართულებას. მას კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული თუ რატომ იღებს ამ გადაწყვეტილებას და რა არის საბოლოო მიზანი. ჩემს შემთხვევაში უკვე წლებია დაინტერესებული ვარ პოლიტიკით, პროცესით რომელიც უდიდეს ზეგავლენას ახდენს თითოეულ ჩვენგანზე, ჩვენს ყოველდღიურობაზე და ზოგადად მსოფლიო დღის წესრიგზე. მსურს გავხდე მაღალი კომპეტენციისა და შესაბამისი განათლების მქონე პოლიტიკის მეცნიერების მკვლევარი, პოლიტოლოგი. სწავლის დასრულების შემდეგ ვაპირებ საუნივერსიტეტო საქმიანობას და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში ჩართვას. რათა თანამოაზრეებთან ერთად შევცვალო არსებული სიტუაცია უკეთესობისკენ.

ლუკა ნაკაშია - მჯერა, რომ თითოეულ ადამიანს შეუძლია ემსახუროს საკუთარ თავსა და სამყაროს, მიუხედავად თავისი პროფესიული არჩევანისა. მთავარია, ჩვენი მიზანი იყოს პროფესიული სრულყოფა და არა დილეტანტიზმი. დარწმუნებული ვარ, რომ ამ იდეოლოგიით შევძლებ შევასრულო ჩემი მოვალეობა, ისევე როგორც სამყაროს, ასევე საკუთარ თავის წინაშე.

დიმიტრი გვასალია - ჯერ ადრეა იმაზე ლაპარაკი, როგორ მოვემსახურები მე ჩემს ქვეყანას, ამ ეტაპზე ჩვენი მთავარი ამოცანაა გავხდეთ სტუდენტები, კარგად ვისწავლოთ და გავხდეთ კარგი სპეციალისტები. მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ ღირებული სიტყვა ვთქვათ ქვეყნის წინსვლის და განვითარების საქმეში

ლუკა ჯოჯუა - მინდა ჩემი ქვეყნისათვის სასიკეთო საქმეები ვაკეთო. ვფიქრობ ახალგაზრდობიდან წამოსული ინიციატივა ყოველთვის ანგარიშგასაწევია. სწორედ ჩვენგან წამოსული ინიციატივა მოგვცემს ქვეყანაში არსებული გამოწვევების და მათი გადაჭრის გზების ძიების შესაძლებლობას.

კითხვა: შეგიძლიათ გონების თვალით თქვენს პერსონას შეხედოთ და გვითხრათ ვინ ხართ?

თეკლა კანკია -საკუთარი თავი და შემდეგ სამშობლო მხოლოდ აზროვნებით და საქმის კეთებით შეგიძლია გადაარჩინო. დაისახო მიზანი და ბოლომდე დაიხარჯო იმ წერტილთან მისასვლელად რადგან მისი შენახვა არ არის მარტივი.შეიძლება გინდოდეს რაიმე კარგის გაკეთება შენი ქვეყნისთვის,მაგრამ წინ ბევრი ცდუნება, სირთულე და დაბრკოლებებით სავსე გზა დაგხვდეს. მთავარია თქვა სიმართლე, რომელიც დაუფასებელია და უსასრულოდ “გაანათო ის გზა,საითაც მიიღწვი”.

მარიამ ვეფხვაძე - ვფიქრობ ვინ ვარ, რთული კითხვაა, რადგან აქამდე არ დავფიქრებულვარ ამაზე, მოსწავლე ვარ, მეგობარი ვარ, და ვარ, შვილი ვარ. უბრალო ჩვეულებრივი ახალგაზრდა ვარ, რომელსაც ახლის გაგება, ბევრი რამის შეცნობა უნდა, იმედი მაქვს ასეც მოხდება.

ნიკო კაჭარავა - მე ვარ თანამედროვე ახალგაზრდა, რომელსაც იმედი აქვს, რომ მოახერხებს საკუთარი მოკრძალებული წვლილი შეიტანოს საზოგადოების უკეთესობისკენ შეცვლაში. მე მჯერა, რომ მე და ჩემს თაობას შეგვიძლია შევქმნათ ნათელი მომავალი და იმედი მაქვს გავამართლებთ წინა თაობის იმედებს - ეს დანამდვილებით ვიცი. სხვა რა მოგახსენოთ, არ არსებობს იმაზე რთული შეკითხვა ვიდრე “ვინ ხარ?”. ამაზე პასუხი ალბათ მაშინ მექნება, როცა წლებთან ერთად ცხოვრებისეული გამოცდილებაც დამიგროვდება და საკუთარ თავსაც უკეთ გავიცნობ.

ცოტნე ეჯიბია - პიროვნების თვისუფლება და უნიკალურობა ღვთისაგან ნაბოძები საჩუქარია. თითოეული ადამიანი განსხვავდება ერთმანეთისაგან, ეს განსხვავებულობა კი ქმნის დედამიწის ხიბლს – მრავალფეროვნებას. უხეშად რომ გითხართ თითოეულ ჩვენგანს უნდა ჰქონდეს შექმნილი საკუთარი „პერსონაჟი“, უნდა გააჩნდეს იდენტობა, ღირებულებები, მტკიცედ გამოკვეთილი პიროვნული მე, ხასიათი, ტემპერამენტი და ა.შ. თუკი ადამიანები ერთმანეთისგან განსხვებულები არ ვიქნებით სისტემა უბრალოდ შთანთქავს ჩვენს პიროვნებას, ჩვენს გავლილ გზას, მისწრაფებებს, შეასაძლებლობებს და ზოგადად უნიკალურობას. მე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ვარ ცოტნე ეჯიბია, ჩემივე შექმნილი პერსონაჟით, რომელიც განსხვავებული და უნიკალურია.

ლუკა ნაკაშია - რთულია გულწრფელად შეხედო საკუთარ თავს და აღწერო იგი, რადგან ამ როცესში უამრავ ხარვეზს პოულობ. ვინ ვარ მე? ალბათ ვიტყოდი, ჩვეულებრივი პიროვნება, რომელსაც მტკიცედ სჯერა საკუთარი იდეოლოგიის და მომავლის იმედით აგრძელებს ცხოვრებას. ჯერ კიდევ ადრეა კონკრეტული სახის იარლიყი მივაკრა ჩემს პიროვნებას, რადგან რასაც აქამდე ვაკეთებდი არის მინიმალური ზღვარი, რომელიც ნებისმიერ ადამიანს მოეთხოვება. მე ვარ უბრალოდ რეალისტურად მოაზროვნე ინდივიდი, რომლისთვისაც ცხოვრებისეული მიზანია პიროვნული სრულყოფა.

დიმიტრი გვასალია - ხშირად დამისვამს საკუთარი თავისთვის კითხვები: ვინ ვარ მე? სად არის ჩემი ადგილი სამყაროში? რა შემიძლია? რა მინდა? რას ვფიქრობ საკუთარ ქვეყანაზე? რას ვაკეთებ მისთვის? ასაკის მატებასთან ერთად იცვლებოდა პასუხები ამ კითხვებზე. ამ ეტაპზე ჯერჯერობით აბიტურიენტი ვარ, რომელიც ცდილობს ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლას, რეალურად ვაფასებ საკუთარ შესაძლებლობებს, უნარებს, დადებით და უარყოფით მხარეებს და რაც მთავარია მომავალს იმედს თვალით ვუყურებ.

ლუკა ჯოჯუა – მე ვარ ახალგაზრდა, რომელიც უპირველესად სამშობლოს სიყვარული და მისთვის სასიკეთო საქმეების კეთება ევალება. უმაღლეს სასწავლებელში ეკონომიკური პროფილით ვაპირებ სწავლის გაგრძელებას. მჯერა ჩემი ბიზნესიდეებით შევძლებ ქვეყნის და ოჯახის გაძლიერებას. ქვეყნის და ოჯახის ძლიერებას განაპირობებს ძლიერ ეკონომიკა. ამიტომ ვთვლი ყველა ადამიანი ძლიერი ეკონომიკური ბაზისის შექმნაზე უნდა ფიქრობდეს.

ჩვენო ნიჭიერო ახალგაზრდებო! დარწმუნებული ვართ ცხოვრების ამ ახალ საფეხურზე მონდომებით ყველა დაბრკოლებას გადალახავთ, სურვილებს ფრთებს შეასხამთ. თუ იმარჯვებთ და თქვენს პოტენციალს გამოიყენებთ, მწვერვალებსაც დაიპყრობთ.

უდაოდ დაგიფასდებათ სამშობლოს მსახურებაში დახარჯული ენერგია.

ნინო სართანია

,,მონდომებაა მთავარი"



ჩვენს ქვეყანას დღეს, როგორც არასდროს სჭირდება ღრმად განათლებული, მორალურად სპეტაკი, მაღალკულტურული და შრომისმოყვარე ადამიანები. ეს მოეთხოვება ჩვენს ახალგაზრდობას, ისინი ხომ მომავალი ცხოვრების ბატონ-პატრონნი უნდა გახდნენ. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ახალგაზრდობა სიბრძნის დაგროვების ჟამია, მათ უნდა განაგრძონ სახელოვანი წინაპრის გზა, იზრუნონ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის. მხოლოდ საფუძვლიანი, მყარი ცოდნა გახდით მათ სულიერად ძლიერს, პატიოსანს, ადამიანების მოსიყვარულეს და პატივისმცემელს.

მაშინ იქნება ახალგაზრდობა ხვალის იმედი და ერის სიმდიდრე.

დღეს გაგაცნობთ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის კურსდამთავრებულს, ნიჭიერ, შრომისმოყვარე, მიზანდასახულ ახალგაზრდას გიგი გუგუნავას, რომელიც ჰოფსტრას უნივერსიტეტის (Hofstra University) ასტროფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა(Hofstra University- კამპუსი მდებარეობს ჰემპსტედში, ნიუ იორკში, ლონგ აილენდზე.

გიგის დიდად არ უყვარს საკუთარ თავზე და მიღწევებზე საუბარი, თვლის რომ წარმატებას რომ მიაღწიო პირველ რიგში უნდა იყო შრომისმოყვარე, უნდა გიყვარდეს ის, რისკენაც მიისწრაფვი, თავად აირჩიო პროფესია... იცოდე, რომ ყოველი წუთი მნიშვნელოვანია და დრო უკან აღარ დაგიბრუნდება, უნდა იყო მიზანსწრაფული, უნდა გაგაჩნდეს სიძნელეების გადალახვის უნარი, არასდროს არ უნდა დასჯერდე მიღწეულს ...

ჩვენ რამდენიმე კითხვით მივმართეთ გიგის და ის თვითონ მოგვიყვება თავისი წარმატებების შესახებ.

მოგესალმები გიგი, პირველ რიგში გილოცავ სკოლის წარმატებით დამთავრებას და უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას.

მადლობა, ვსარგებლობ შემთხვევით და ჩემს თანატოლებს, განსაკუთრებით ჩემს კლასელებს ვულოცავ სკოლის დამთავრებას, ვუსურვებ წინსვლას და წარმატებებს.

გიგი, შენ ამერიკის ერთ-ერთ პრესტიჟულ უნივერსიტეტში ჩაირიცხე ისე, რომ ეროვნული გამოცდები არ ჩაგიბარებია. მიიღე 100% -იანი დაფინანსება. საკმაოდ რთული ფაკულტეტი აირჩიე, რამ განაპირობა შენი დაინტერესება ზუსტი მეცნიერებით? რატომ დაინტერესდი აღნიშნული სასწავლებლით და რა გზის გავლამ მოგიწია ამ მიზნის მისაღწევად?

კორექტირებას შევიტან თქვენს ნათქვამში. დაფინანსება არის 50%-იანი, ხოლო 100% -ს რაც შეეხება ეს არის ერთ წლიანი ონლაინ სწავლის.

ბატონი დავით სონღულაშვილისა და ბატონი უტა კილასონიას გუნდი იყო გასული 2020 წლის ლეონარდო და ვინჩის გამოგონებათა კონკურსზე, სადაც ერთ-ერთი მონაწილე მეც ვიყავი. გუნდმა გაიმარჯვა საქართველოში და რეალურად გამარჯვებული გუნდი უნდა წასულიყო ამერიკის შეერთებულ შტატებში intel-ის საერთაშორისო კონკურსზე. მაგრამ, კოვიდ პანდემიიდან გამომდინარე ეს კონკურსი ჩატარდა ონლაინ. ჩაგვიტარდა ინტერვიუები უნივერსიტეტების პროფესორებთან, რის შემდეგაც დაახლოებით 2 კვირაში მომივიდა მოწვევის წერილები სხვა და სხვა უნივერსიტეტეტიდან.

და აქედან დაიწყო ყველაფერი. შემდეგ ჩავაბარე გამოცდები და გადავაგზავნე ჩემი მონაცემები. მოვხვდი Hofstra-ს უნივერსიტეტის კანდიტატებში, შემდეგ Top კანდიდატებში და საბოლოოდ მომივიდა უნივერსიტეტში მიღების წერილი.

- რაც შეეხება ფაკულტეტისა და მომავალი პროფესიის არჩევას, პირველ რიგში ამისათვის მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ უტა კილასონიასა და ჩემს სკოლას, ვინაიდან მათ მომცეს საშუალება გამეცნო ბატონი დავით სონღულაშვილი. სწორედ ამ ადამიანთან შეხვედრამ და ბატონ უტასთან ერთად მუშაობამ ამარჩევინა მომავალი პროფესია. აქვე მინდა მადლობა ვუთხრა ბატონ იოსებ ჯანაშიას. ეს ადამიანი არის ის, ვინც პირველი ბიძგი მომცა ამ ძალიან საინტერესო სფეროში და მისი ჩემს მიმართ გაწეული ღვაწლი ძალიან დიდია. ასევე მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ ემზარი პაპავას გაწეული შრომისათვის. ის უძლიერესი მათემატიკოსია, რომელიც დამეხმარა გამოცდების წარმატებით ჩაბარებაში.

რა შეიცვალა შენს ცხოვრებაში მას შემდეგ რაც ჰოფსტრას უნივერსიტეტის (Hofstra University) სტუდენტი გახდი?.

სიმართლე გითხრათ შეცვლით დიდი არაფერი. ისევ ვაგრძელებ ეროვნული გამოცდებისთვის მზადებას და ვაბარებ საქართველოშიც.

რას ურჩევთ იმ აბიტურიენტებს, რომლებსაც სურვილი აქვთ შენსავით განათლება მიიღონ საზღვარგარეთ?

- პირველ რიგში მთავარია დროის მენეჯმენტი. უნდა დაისახონ გეგმა და შემდეგ უნდა გადაანაწილონ ეს ყველაფერი იმ მოცემულ დროზე რაც აქვთ და ამის შემდეგ ყველაფერი თავისთავად გამოვა. ყველას შეუძლია ამის გაკეთება, უბრალოდ მონდომება მთავარია.

შენი სამომავლო გეგმები

ზოგადად სამომავლო გეგმებს არ ვამბობ ხოლმე, ვინდაიდან არ ვიცი რა როგორ შეიცველება და თქვენის ნებართვით ამ კითხვას თავს ავარიდებ.

კიდევ ერთხელ გილოცავ სტუდენტობას. გისურვებთ წინსვლას ცხოვრების იმ დიდ გზაზე, რომელზეც შენი შედეგებით გადადგი პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი. არ გადაუხვიო არჩეული გზიდან და მიაღწიე დასახულ მიზანს. გისურვებთ წარმატებებს, რაც ჩვენი რეგიონისა და ქვეყნისა წარმატებული მომავლის საფუძველი იქნება!

მაია გერგაია

ლიტერატურული მარათონი

რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა ,,ვეფხისტყაოსანი" არასდროს დაკარგავს თავის მნიშვნელობას. ის მუდამ იქნება ადამიანების სულის საზრდო, მტკიცე ბოძი, რომელზედაც დგას ჩვენი ქვეყნის წარსული, აწმყო და მომავალი.

17 ივნისს, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების სენაკის ორგანიზაციის ორგანიზებითა(თავმჯდომარე ირმა კუპრეიშვილი) და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ,,ვეფხისტყაოსნის" საჯარო კითხვის მარათონი გაიმართა.

სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ამფითეატრში გამართულ მარათონში მონაწილეობა მიიღეს N1, N2, N3, N7, მენჯის საჯარო სკოლებისა და წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებული სკოლა-გიმნაზიის და კერძო სკოლა ლიცეუმის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა.

ღონისძიებას მუსიკალურად ანსამბლი ,,მუსიკელი" აფორმებდა.

,,ვეფხისტყაოსნის" საჯარო კითხვის მარათონის ფარგლებში, სენაკის საჯარო ბიბლიოთეკაში, გაიმართა კონკურსი კალიგრაფიაში - ,,ჩვენ ვკითხულობთ ვეფხისტყაოსანს", რომელშიაც გაიმარჯვა მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლე ელენე გვაძაბიამ. ჟიურის სიმპათია კი მე-7 საჯარო სკოლის მოსწავლემ გიორგი კანკიამ დაიმსახურა.

დასასრულს, მონაწილეებთან ერთად, ყველა მსურველს ჰქონდა შესაძლებლობა, შეერთებოდა ,,ვეფხისტყაოსნის" საჯარო კითხვის მარათონს და წაეკითხა ნაწყვეტები ,,ვეფხისტყაოსნიდან".

მარათონის მიმდინარეობისას მედიასთან თავის აზრი დააფიქსირეს ღონისძიების მონაწილე მოსწავლეებმა და პედაგოგებმა.

ელისო ლემონჯავა, მენჯის არასრული სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი – სენაკი მრავალმხრივი კულტურული ტრადიციების მქონე ქალაქია დასავლეთ საქართველოში. ძალიან მიხარია, რომ სწორედ ჩვენს ქალაქში მოეწყო ეს მარათონი. ვუყურებ მოსწავლეებს, როგორი ამაღლებული სულისკვეთებით და სწორი ინტონაციით კითხულობენ ,,ვეფხისტყაოსნის" სტრიქონებს. ვგრძნობ, რომ ახალგაზრდები, უფროსკლასელები სწორედ ჰეროიკულ სულისკვეთებას გამოხატავენ ამ მრავალმხრივი პოემის კითხვისას. მადლობა ქალბატონ ირმა კუპრეიშვილს, ჩემს კოლეგა პედაგოგებს და მოსწავლეებს ასეთი ამაღლებული დღისთვის.

მირანდა ცქიტიშვილი, მეშვიდე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი - ,,ვეფხისტყაოსნის სახით ჩვენ მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოებთან გვაქვს საქმე, ის მუდამ იქნება შეუნელებელი ინტერესისა და ყურადღების საგანი. ეს უკვდავი პოემა იძლევა უხვ საზრდოს გონებისთვის, ლამაზ განსაცდელს გულისთვის. ,,ვეფხისტყაოსანი" გვაძლევს ბრძოლისა და გამარჯვების იმპულსს. ღონისძიება ძალიან ღირებულია მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის. დღეს ,,ვეფხისტყაოსნის" 16 მარცვლიანი შაირით დაწერილი სტრიქონები საამოდ ეფინება ჩვენს ქალაქს. მადლობა ღონისძიების ორგანიზატორებს.

მაგული(მაგდა) ხორავა, სენაკის მართლმამიდებლური სკოლა-გიმნაზიის მეოთხე კლასის მოსწავლე- ,,ვეფხისტყაოსნის" საჯაროდ კითხვამ, ინტერესი გამიჩინა, მთლიანად და სიღრმისეულად შევისწავლო არა მარტო პოემა, თვითონ ავტორიც. რუსთაველი გახდა ჩემთვის იდეალი სიბრძნის და ამოუწურავი ტრფობის. მინდა, გარკვეული პერიოდი მივუძღვნა ,,ვეფხისტყაოსნის" სიღრმისეულ შესწავლას, რათა ბევრს გავაცნო და დავაინტერესო ეს უდიდესი ნაწარმოები.

მადლობა ჩემს სოფიო მასწავლებელს, რომ ასეთ ადრეულ ასაკში გამიღვივა ინტერესი ,,ვეფხისტყაოსნისადმი".

ცოტნე კაცია, სენაკის მეშვიდე საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე - სიამოვნებით ვკითხულობთ შოთას ,,ვეფხისტყაოსანს", ეს სწორუპოვარი პოემა გვასაზრდოებს ჰუმანური იდეებით, გვაძლევს დადებით იმპულსს. ,,ვეფხისტყაოსანი" სიბრძნის წყაროა, ძალიან მიხარია ამ ღონისძიებაში მონაწილეობა. მთელი სამყარო გადაგვეშალა თვალწინ ,,ზეცით მონაბერი ჰაერით", ,,უთვალავი ფერით" ... მადლობა ყველას, ვინც მოგვცა შესაძლებლობა მონაწილეობა მიგვეღო ,,ვეფხისტყაოსნის " კითხვაში.

საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელმა ერთხმად დააფიქსირა აზრი, რომ ღონისძიება ნამდვილად საჭირო და დროული იყო.

17 ივნისი გამოცხადდა ,,ვეფხისტყაოსნის" დღედ სენაკში და ყოველწლიურად გაიმართება ლიტერატურული მარათონი.

წარმატებულ საქმიანობას ვუსურვებთ რუსთაველის საზოგადოების სენაკის ორგანიზაციას და ყველა მონაწილეს, რომლებიც მომავალში შეეცდებიან ხელი შეუწყონ ამ უკვდავი ნაწარმოების პოპულარიზაციას.

მედეა ბაღათურია

სენაკის მუნიციპალიტეტის „ხელოვნების ცენტრის" სამუსიკო სკოლა - ცხრაწლედი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას პირველ და მაღალ კლასებში 2022-2023 სასწავლო წლისათვის

სწავლება ხორციელდება საქართველოს კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამების მიხედვით.

სწავლის დასრულებისას გაიცემა სამუსიკო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი / სერთიფიკატი - 5, 7 და 9 კლასდამთავრებულთათვის.

ცენტრის სამუსიკო სკოლაში ხორციელდება დაწყებითი სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამები:

1. საფორტეპიანო;
2. საორკესტრო/ვიოლინო/;
3. საგუნდო სიმღერა;
4. ვოკალი/საესტრადო სიმღერა;
5. გიტარა და ხალხური საკრავები.

სწავლის ხანგრძლივობა: ფორტეპიანოზე, ვიოლინოსა და საგუნდო სიმღერაზე - 7 და 9 წელი,

საესტრადო სიმღერაზე, გიტარასა და ხალხურ საკრავებში - 5 წელი.

სკოლაში შემსვლელთათვის აუცილებელია შემდეგი საბუთები:

1. განცხადება ცენტრის დირექტორის სახელზე;
2. დაბადების მოწმობა / ქსეროასლი/;
3. ფერადი ფოტო ზომით ¾ -ზე - 2 ცალი;
4. ცნობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან, კლასის მითითებით.

სკოლაში მიიღებიან:

პირველ კლასში - 6-დან 9-წლამდე ასაკის მოზარდები.

პირველ კლასში მისაღებ გამოცდებზე მოწმდება: სმენა/მელოდიური, ჰარმონიული/, რითმი, მეხსიერება.

შვიდწლედის დასამთავრებლად:

II-III-IV-V კლასებში, ხოლო ცხრაწლედის დასამთავრებლად, II-III-IV-V-VI და VII კლასებში/ექვსწლედდამთავრებულები - საავალდებულოა 6 კლასის დამთავრების მოწმობის ქსეროასლის წარმოდგენა/, VIII კლასში - /შვიდწლედდამთავრებულები, საავალდებულოა მე-7კლასის დამთავრების მოწმობის ქსეროასლის წარმოდგენა/მიიღებიან შესაბამისი მომზადების მოსწავლეები.

ზემოთ აღნიშნული საბუთების ნუსხას მაღალ კლასებში ემატება საგამოცდო პროგრამა საკრავში, საგუნდო ან საესტრადო სიმღერაში.

მაღალ კლასებში მისაღები გამოცდები ტარდება შემდეგ საგნებში:

საკრავი - ყველა კლასში,

II–III–IV კლასებში - სოლფეჯიო, ხოლო V-VI-VII-VIII კლასებში - სოლფეჯიო და

მუსიკის ლიტერატურა/გასაუბრება კლასის შესაბამისი პროგრამით/

სამუსიკო სკოლაში ხორციელდება ფასიანი მომსახურება ნებისმიერი ასაკის მსურველთათვის, სწავლების შესაბამისი პროგრამებით.

საბუთების მიღება დაიწყო და გაგრძელდება 27 ივნისის ჩათვლით, მისაღები გამოცდები ჩატარდება 1 ივლისს.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ,,ხელოვნების ცენტრის" ადმინისტრაციას მისამართზე:

სენაკი, წერეთლის ქ. № 1

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები: 577079577, ელფოსტა: xelovnebiscentri@gmail.com

სოციალური ქსელი: Facebook - სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი.

ქეთევან ლატარია

სენაკის საბიბლიოთეკო სისტემას გამოაკლდა ღვაწლმოსილი მუშაკი, საქართველოს დამსახურებული ბიბლიოთეკარი, ღვთაებრივი ნათლით მოსილი ქალბატონი ქეთევან ლატარია, 50-წელი ემსახურა იგი მოზარდთა აღზრდასა და მათ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას. იყო კორექტული, მუდამ მომართული და საქმიანი, ხალისიანი, ცხოვრების მოყვარული, სწორედ ეს თვისებები ეხმარებოდა მოზარდებთან ურთიერთობაში, მისი მუშაობის ისტორია უკავშირდება წიგნს და ბიბლიოთეკას, იყო საბავშვო ბიბლიოთეკის გამგე და საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორის მოადგილე ბავშვთა შორის მუშაობის დარგში. მის ბიოგრაფიაში მკაფიოდ ჩანს მისი ეროვნული მრწამსი, 1988 წლიდან ეროვნულ მოძრაობაში იყო ჩაბმული, იყო საზოგადოება „ჭყონდიდელი“-ს ორგანიზაციის წევრი, გამოცემული აქვს სამამულო ომის თემაზე წიგნი „სენაკელთა ხსოვნის ზარი რეკავს“, ვერ მოესწრო „სენაკის რაიონის ისტორიის“ გამოცემას. ეწეოდა საქველმოქმედო საქმიანობას. ძნელია მასზე წარსულში საუბარი. წიგნი იყო მისი ცხოვრების უცვლელი თანამგზავრი, გამორჩეული პიროვნება დაჯილდოებული იყო დიდი სიყვარულით, ორატორული ნიჭით, ამაყობდა თავისი პროფესიით, თავისი აღზრდილებით. იყო აქტიური ადამიანი.

დასანანია რომ დავკარგეთ ასეთი ნიჭიერი, განსაკუთრებული შემოქმედებითი უნარებით, იუმორით აღსავსე, უბრალოდ ნათელი და დადებითი პიროვნება, დაგვაკლდა არა მარტო ჩვენ - ბიბლიოთეკარებს, არამედ მეგობრებს, უთვალავ ნაცნობს ცნობილ პიროვნებებს, მშობლიურ სენაკს. შენ დავიწყება არ გიწერია, მშვიდობით ჩვენო მეგობარო, იძინე მშვიდად.

სენაკის საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლები

დუდანა შურღაია

ხმა დაირხა ,,გაგვიფრინდა ანგელოზად ქცეული ფერია გოგოო” - და ეს თავზარდაცემი სიტყვები ელვის სისწრაფით გავრცელდა ქალაქში ...გვჯეროდა სასწაულის, გვჯეროდა ბოლო წუთამდე, რომ სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებულს, სიკვდილი ვერ მოგიახლოვდებოდა, მაგრამ მოვტყუვდით. ვაი რომ ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა შენი ამქვეყნიური ყოფა, თუმცა შენ ჩვენს გულებში დაიდე სამუდამო ბინა და აგრძელებ ჩვენთან ერთად სიცოცხლეს.



უდიდესი ტკივილი და სევდა დაუტოვე დედ-მამას, ერთადერთ ძმას, მეგობრებს. შენ ხომ გამორჩეული იყავი, დადებითი თვისებებით შემკული. შენი ნაადრევი სიკვდილით ოჯახმა ბრწყინვალე შვილი დაკარგა, თანამშრომლებმა უნიჭიერესი კოლეგა, მეგობრებმა კეთილი, ერთგული, უღალატო მეგობარი.

შენ ჩვენი უდიდესი ტკივილი ხარ, გვიყვარხარ და მუდამ ასეთი კეთილი გვემახსოვრები.

მშვიდად განისვენე, მშვიდობით, ალალი იყოს შენს სახელზე დანთებული წმინდა სანთლები, უფალმა იქ მიგიჩინოს სამუდამო სასუფეველი, სადაც შენებრ მართალნი განისვენებენ.

მეგობრები

ეთერი თუნთია-გვასალია



კიდევ ერთი ლამაზი სიცოცხლე წაგვართვა ულმობელმა სიკვდილმა თუნთიების საგვარეულოს. სიცოცხლით სავსე ქალბატონი იყავი, როგორ წარმოვიდგენდით შენს უეცარ გარდაცვალებას, ისედაც ხანმოკლე წუთისოფელში. ძნელი ასატანი გაგიხდა ძმის გარდაცვალება, მუდამ მის გლოვაში იყავი. 13 ივნისს შესრულდა 40 დღე, რაც ზეციურ სასუფეველში დაიმკვიდრე ადგილი.

მართლმადიდებლური მოძღვრების თანახმად მე-40 დღეს უფლის წინაშე წარსდგება შენი უმანკო სული და როგორც უბოროტო და კეთილი ქალბატონი მიწიერ ცხოვრებაში, ალბათ იქ უფალი მიგიჩენს განსაზღვრულ ადგილს.

უშენოდ შევხვდით შენი დაბადების დღეს 26 მაისს, ცრემლიანი თვალებით მოგილოცეთ დაბადების დღე, უფალმა მხოლოდ 67 წელი გარგუნა.

ეთერი თუნთია დაიბადა 1955 წლის 26 მაისს, სოფელ ხორშში, 1976 წელს მუშაობა დაიწყო ხორშის ეთერ-ზეთების მეურნეობა-ქარხანაში რადიოგრამაზე რადისტად. იმავე წელს შეუთავსეს ბაგა-ბაღის მუსიკის მასწავლებლის შტატი, მეურნეობის საქმის მწარმოებელ-მემანქანეობა., 1979 წელს გადაიყვანეს წითელი კუთხის გამგედ.

1980 წელს მეცხოველეობის ფერმაში ლაბორანტად გადაიყვანეს, პარალელურად ჩართული იყო სოფლის კულტსაგანმანათლებლო საქმიანობაში. იყო სოფლის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი, ქალთა ტრიო ,,ოხორუშას” მომღერალი(ხელმძღვანელი ელენა ხორავა). მიღებული აქვს ქების სიგელები, დიპლომები და მადლობები. ქალბატონი ეთერი სიკვდილის ბოლომდე მუშაობდა ხორშის საბავშო ბაგა-ბაღში მუსიკის მასწავლებლად. დაუვიწყარია მისი დიდ-პატარასთან შესატყვისი კომუნიკაბელურობა, შეჭირვებული ადამიანის მიმართ გამოხატული თანადგომა, ბავშვების უსაზღვრო სიყვარული და მათ აღზრდაში უშურველი მონაწილეობა, გამორჩეული შემოქმედებითი უნარი სიმღერასა და პოეზიაში.

შენი ცხოვრება დაო, წამის გაელვება იყო მარადისობისაკენ მიმავალ გზაზე. ,,სიკვდილი კი ვალის მოხდა ყოფილა, ცხოვრებისეული მუდმივი სურვილის დასასრული, სიცოცხლე კი უმძიმესი სასჯელი.

დაე! შენს სახელზე დანთებული სანთელი, შენი დატოვებული დიდი სიკეთე და სიყვარული გინათებდეს სასუფევლის მარადიულ გზას. ნათელში იყოს შენი ლამაზი სული.

,,ბედნიერებას ვეძებდით, მაგრამ ვერ ვნახეთ მარცვალი. სიკვდილი დედა ყოფილა, სიცოცხლე დედინაცვალი.

ბიჭიკო თუნთია

ალექსანდრე(კუკური) ჩაჩიბაია

კიდევ ერთი ღირსეული კაცი დააკლდა ქალაქს, კაცი რომელსაც მისი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში მისი ქვეყნისა და მშობლიური სენაკისთვის უზრუნვია და უშრომია, მისი ჭირი და ლხინი გაუზიარებია.

წავიდა ჩვენგან ალექსანდრე ჩაჩიბაია, ჩვენი კუკური, ჩვენი საძმოს თავკაცი, ძირძველი სენაკელი, სენაკის საპატიო მოქალაქე და დაგვიტოვა კაცობისა და სიყვარულის კოცონი.

კუკური ჩაჩიბაია დაიბადა 1936 წლის დეკემბერში, სენაკში. იგი სპეციალობით ინჟინერ-ეკონომისტი იყო. სხვადასხვა დროს მუშაობდა რაიონის საამშენებლო ორგანიზაციებში ხელმძღვანელ სამუშაოებზე. იყო საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთავარი ინჟინერი, პარტიის რაიკომის პასუხისმგებელი მუშაკი, რომელიც კურირებას უწევდა მრეწველობის, მშენებლობის, ვაჭრობის და ტრანსპორტის სამსახურებს. წლების განმავლობაში იყო სამომხმარებლო კოპერაციის (რაიკავშირის) ხელმძღვანელი სპეციალიზებული სამშენებლო უბნის უფროსი.

კ.ჩაჩიბაიას უშუალო ხელმძღვანელობით ჩაეყარა საფუძველი სენაკში პირველი სტადიონის მშენებლობას. რომელმაც შემდგომ დასაბამი მისცა ამჟამად არსებული დიდი სპორტული ნაგებობის დაარსებას.

იგი აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის ცენტრალური, ამჟამად მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის რეკონსტრუქციასა და ევროპულ დონეზე გამართვის სამუშაოებში.

როგორც ქალაქის მთავარი ინჟინერი ხელმძღვანელობდა ქალაქის თანამედროვე იერსახის შექმნის სამუშაოებს რა დროსაც მოასფალტდა, ტროტუარით და გაზონებით დამშვენდა რკინიგზის მიმდებარე ტერტორია. სარგებლობდა რა რესპუბლიკის სამომხმარებლო კოპერაციის (ცეკავშირის) ხელმძღვანელობის წინაშე დიდი ავტორიტეტით, მის მიერ მოძიებული თანხით (გეგმის გარეშე) აშენდა სოფელ ნოსირის სავაჭრო ცენტრი, რომელმაც დაამშვენა სოფლის ცენტრალური ტერიტორია. ასევე სავაჭრო ცენტრები აშენდა უშაფათისა და ხორშის ტერიტორიაზე. დაპროექტდა და ექსპლოატაციაში შევიდა 24 ტონიანი პურსაცხობი სოფელ კოტიანეთში. თანამედროვე დიზაინით რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ნოქალაქევის და სახარბედიოს რესტორნებს.

პირველად ჭალადიდისა და ხორშის ეთერზეთების ქარხნისა და სოფლის მოსახლეობისათვის გაკეთდა წყალსადენი 18 კილომეტრის მანძილზე

და ეს მხოლოდ ნაწილია კ. ჩაჩიბაიას გაწეული საქმიანობისა.

კუკურ ჩაჩიბაია ქართული ტრადიციული ოჯახის თავკაცი იყო; მისი შვილი გიორგი ქვეყანაში ცნობილი პერსპექტიული ბიზნესმენია. მას მამისაგან დაჰყვა მისი ქვეყნის და სენაკის სიყვარული და ყოველთვის მზადაა მისი სამსახურიისთვის.

ჰყავს ღირსეული შვილიშვილები: გიორგი დაოჯახებულია და წარმატებით საქმიანობს სახელმწიფო სტრუქტურებში, ხოლო ალექსანდრე სტუდენტია. ოჯახის სიხარულია გვარის გამგრძელებელი შვილიშვილის შვილი ვაჩე ჩაჩიბაია.

კუკური ჩაჩიბაიას ნათელი სახე მუდამ დარჩება მისი ოჯახის, მეგობრების და ყველა მათ ხსოვნაში ვინც მას იცნობდა. ჩვენ კი ისევ გვგონია ის ჩვენთან არის და ახლაც გვეიმედება.

„სამარეში შენ არ წევხარ, წახვედი და ისევ შორით გვეშველები,

ცისკარივით ჩვენი მწე ხარ და სიკვდილთან მორკინალი გვეჩვენები“

უახლოესი მეგობრების სახელით დამირ კუჭავა

ინფორმაცია!

ქ. სენაკში ფუნქციონირებს პროფესიული სწავლების და ტრენინგების ცენტრის სენაკის განყოფილება, სადაც ხდება სხვადასვა საგანმანათლებლო პროფესიული სწავლება და ბიზნესის განვითარებაზე ხელის შეწყობა.

დეტალური ინფორმაციისათვის მიმართეთ სენაკის განყოფილებას.

მისამართი: ქ. ქუთაისი ნიკეას 11ა

ა(ა)იპ ,,პროფესიული სწავლებისა და ტრენინგების ცენტრი”

ს/კ 212840372

მენეჯერი -551 205 170. www.vetc.info

ქ. სენაკი რუსთაველის ქ. № 185

ა(ა)იპ ,,პროფესიული სწავლებისა და ტრენინგების ცენტრის” სენაკის განყოფილება.

განყოფილების უფროსი – რევაზ ქუჩულორია.

მობ.: 551 72 88 99.

Revaz.kuchuloria@gmail.com

www.vetc.info

სენაკის ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნანა და მაია ფირცხალავებს დედის, ქალბატონ

რაია კვეკვესკირის

გარდაცვალების გამო.

ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს მის სპეტაკ სულს.

ცისანა შარტავა თანაგრძნობას უცხადებს სენაკის ჟიული შარტავას მუზეუმის მეცნიერ-მუშაკს ნანა ფირცხალავას დედის, ქალბატონ

რაია კვეკვესკირის

გარდაცვალების გამო.

სარედაქციო ჯოლეგია

მთავარი რედაქტორი ნინო სართანია

რედაქტორი მედეა ბაღათურია

ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიჯა მიქაბერიძე

ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:

სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.

ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში

რეგისტრაციის №56/7-17

გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ“

ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33

ტელ: 223779,223711, 223499